კრეატიულობა კულტურული ტრადიციის შენარჩუნებისას

ზოგადი მიმოხილვა 2
დისკუსიის სახელმძღვანელო 4
საკითხავი მასალა მოსწავლეებისთვის 5
სასწავლო მასალა მოსწავლეებისთვის 12



ვიდეო რგოლები

ზოგადი მიმოხილვა

კრეატიულობა კულტურული ტრადიციის შენარჩუნებისას

მიზნები :

მოსწავლეები შეძლებენ :

- განიხილონ პერსპექტივები როგორ გამოიყენონ კრეატიულობა კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისას.
- წარმოადგინონ საკუთარი შეხედულებები კულტურული ტრადიციების შესახებ.
- შეიცნონ სიტყვის, გამოსახულებისა და ხმის ძალა - ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მიზნობრივ აუდიტორიაზე.
- გააანალიზონ სხვადასხვაგვარი ისტორიის მოყოლის ტექნიკა აზრის/მესიჯის გადმოსაცემად.

ლექსიკონი:

ოტა ტარნერი, ლერწმის ფლეიტა/ cane flute, სტვირი და დრამი, არტურ ალბერტსი, ალან ლომექსი, პოლირითმია, ოკინავა, ჯუჯა ხე/bonsai, წმინდა კლარას ინდიელების ახალშენი/pueblo , ტაფოიას ოჯახი, კივა, მაორი, პაიკეა

მედია

სახლში წასვლის სურვილი (2:49)

კარატისტი ბავშვი (2:59)

თაობების მემკვიდრეობა(3:53)

ვეშაპის გამხედნავი (2:22)

საჭირო მასალა :

- დისკუსიის ექვსგვერდიანი სახელმძღვანელო.
- ოთხი ვიდეო რგოლი (ხელმისაწვდომია ონლაინ http://www.projectlooksharp.org/?action=creativity Theme 3: Creativity in Preserving Cultural Tradition).
- მოსწავლეების საკითხავი კულტურული ტრადიციების შენარჩუნების თემაზე (ქსეროასლი თითოეული მოსწავლისთვის).
- სასწავლო მასალა მოსწავლეებისთვის (ქსეროასლი თითოეული მოსწავლისთვის).

დრო

დაახლოებით 50 წთ

პროცესი :

საკითხავი მასალა მოსწავლეებს წინასწარ უნდა გადაეცეთ. მათ საშუალება ექნებათ, წინასწარ (ან გაკვეთილის განმავლობაში) წაიკითხონ ეს მასალა. დისკუსიის სახელმძღვანელოში მათთვის გასაცნობი მასალა შეიძლება წინასწარ, ვიდეო რგოლების ნახვამდე წარედგინოს მოსწავლეებს. მათ, ასევე, ექნებათ შესაძლებლობა, შეავსონ მათთვის განკუთვნილი კითხვარი თითოეული ვიდეო რგოლის ყურებისას ან შემდეგ (ინდივიდუალურად ან წყვილებში). კითხვები და სავარაუდო პასუხები შექმნილია ვიდეო რგოლის განხილვისას ფასილიტაციისათვის. მომდევნო კითხვებისა და შემაჯამებელი კვლევა-ძიებისას, შესაძლოა მოხდეს ფილმის განხილვა: რა შეტყობინებას გადმოგვცემს; უნდა მოხდეს მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისას კრეატიულობის გამოყენების კონტექსტში.



დისკუსიის სახელმძღვანელო

ვიდეო რგოლები

თემა : კულტურული ტრადიციების შენარჩუნება

გაკვეთილამდე: გადახედეთ ინფორმაციას. გააკეთეთ მოსწავლეებისთვის ქსეროასლები (თითო მოსწავლისთვის თითო) და დასარიგებელი მასალა (რაოდენობა დამოკიდებულია პროცესზე).

მოსწავლის საკითხავი

განსაზღვრულია, რომ მოსწავლემ მასალა უნდა წაიკითხოს გაკვეთილამდე (ან წაიკითხოს კლასში, ვიდეო რგოლის ჩვენებამდე). თქვენ შესაძლოა გსურთ, წინასწარ განიხილოთ ძირითადი საკითხები ფილმიდან და/ან ჩაერთოთ ფილმის განხილვის დისკუსიაში კონკრეტული ინფორმაციითა და კითხვებით.

პრეზენტაცია

დისკუსიის მიზანია, კულტურული ტრადიციების შენარჩუნებაზე საუბრისას გამოყენებულ იქნას კრეატიული მიდგომა, ტრადიციების მოძველების გამო. დისკუსია საშუალებას გვაძლევს, ჩავუღრმავდეთ კულტურული ტრადიციების მრავალფეროვნებას (სტვირზე და დრამზე დაკვრა, bonsai ხის გადაჭრა, მეთუნეობა და ზეპირი ისტორია). ეს ტრადიციები სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს მოიცავს (მისისიპი, დასავლეთ აფრიკა, ოკინავა, სანტა-კლარას ინდიელების ახალშენი და ახალი ზელანდია).
თითოეული ამონარიდის ნახვის შემდეგ, მოსწავლემ პასუხი უნდა გასცეს დარიგებულ მასალაში მოცემულ კითხვებზე. დაფიქრდით კრეატიულობასთან და სიძველესთან დაკავშირებულ მესიჯებზე; ფილმის გადაღების ტექნიკაზე, რომელიც გამოყენებულია მესიჯის გადმოსაცემად. უმეტეს შემთხვევაში, ნაჩვენები ფილმის ნაწყვეტები სხვადასხვა კინორეჟისორის ნახელავია. მათი ფილმების თავიდან ბოლომდე ჩვენება საჭირო არ არის.

მოსწავლეების მასალა: მოსწავლეებს შეუძლიათ, სამუშაო ინდივიდუალურად ან წყვილებში შეასრულონ. თითოეული ფილმის ნაწყვეტს უნდა ახლდეს ერთი (დასარიგებელი) მასალა.

ნაწყვეტები ფილმებიდან:

წაიკითხეთ მოკლე შესავალი თითოეული ფილმის ნაწყვეტთან დაკავშირებით და შემდეგ ჩართეთ ვიდეო რგოლი. მიეცით მოსწავლეებს საკმარისი დრო კითხვებზე პასუხის გასაცემად და შემდეგ წარმართეთ დისკუსია „მედია კითხვებისა და პასუხების ნიმუშების“ სახელმძღვანელოს მიხედვით. დააკვირდით განსხვავებულ პასუხებს, გამოიკვლიეთ პასუხების დიაპაზონი, სთხოვეთ მოსწავლეებს, დაასაბუთონ საკუთარი პასუხები თითოეული ვიდეო რგოლის მიხედვით.

ალტერნატივა: წარმართეთ დისკუსია, სანამ მოსწავლეები მასალის შევსებას დაასრულებენ; მოსწავლეებს აჩვენეთ ნაწყვეტი ოთხი ფილმიდან (ამასობაში მოსწავლეები წერენ პასუხებს), შემდეგ წარმართეთ დისკუსია.



სახლში წასვლის სურვილი (2:49)

ფილმი1. შესავალი

ნაწყვეტი ფილმიდან „სახლში წასვლის სურვილი“ (2003 წელი, დოკუმენტური, რეჟისორი მარტინ სკორსისი; The Blues , PBS სერიების ნაწილი). სკორსისის ფილმი კვალდაკვალ მიყვება ბლუზის ფესვებს მისისიპიდან მის სამშობლომდე, დასავლეთ აფრიკამდე. ვიდეოს დასაწყისში ორი კაცი ვერანდაზე ზის. ისინი მუსიკოსები არიან - ოტა ტარნერი და კორი ჰარისი.

მედია კითხვებისა და პასუხების ნიმუში

1) რა კულტურული ტრადიციებია წარმოდგენილი და ვინ ინარჩუნებს მათ?	**სავარაუდო პასუხები:** აფრიკული სტვირი და დრამი ოტა ტარნერისა და მისი ქალიშვილის მიერაა შენარჩუნებული; აფრიკელი დრამერები და მესტვირეები თაობიდან თაობას გადასცემდნენ რიტმებს და არქივარიუსები იწერდნენ მუსიკას.
2) რა კრეატიულ გზებს იყენებდნენ უფროსები ტრადიციების შესანარჩუნებლად?	**სავარაუდო პასუხები:** წინაპრებმა მონობის პერიოდში აკრძალული დრამი სხვა ინსტუმენტებით შეცვალეს. მათი შთამომავალები ინარჩუნებდნენ აფრიკულ პოლირითმიას, როგორც კულტურული გადარჩენის ძირითად საშუალებას (საუკუნეების მანძილზე აფრიკელი ხალხი განიცდიდა ჩაგვრას).
3) რა კრეატიულ ხერხებს მიმართეს კინორეჟისორებმა ამბის გადმოსაცემად? (განიხილეთ ფილმის შექმნის ტექნიკა, სცენარი და საუნდტრეკი).	**სავარაუდო პასუხები:** ამბავი იწყება მისისიპიში და შემდეგ მოქმედება გადადის აფრიკაში, ოტას გამოსახულებით, მის ბაღში, რომელსაც თან სდევს აფრიკელი მუსიკოსების არქივის კადრები. ისმის აფრიკული სტვირისა და დრამის ჰანგები, რომელზეც აფრიკაშიც და მისისიპიშიც უკრავდნენ და მთხრობრლის ხმა ამ ორ ადგილს ერთმანეთთან აკავშირებს.

მომდევნო კითხვები:

- ამ ვიდეო რგოლის სათაური „სახლში წასვლის სურვილი“ როგორ უკავშირდება კულტურული ტრადიციების შენარჩუნების თემას?
- რას რისკავს ხალხი, რომ აფრიკულ დრამზე დაკვრის ტრადიცია შეინარჩუნოს და რატომ მიდიან ასეთ რისკზე?

- **მოიყვანეთ ხანში შესული ადამიანის მაგალითი, რომელსაც იცნობთ და რომელმაც გადაწყვიტა კულტურული ტრადიციები გაევრცელებინა.**

კარატისტი ბავშვი

ფილმი 2. შესავალი

ეს არის ნაწყვეტი 1984 წელს გადაღებული სრულმეტრაჟიანი ფილმიდან „კარატისტი ბავშვი“, რომლის რეჟისორი ჯონ ევიდსენია. მთავარ როლებში არიან რალფ მაჩიო (დანიელის როლში) და პეტ მორიტა (მისტერ მიიაგის როლში). ამ სცენაში დანიელი მადლობას უხდის ბატონ მიიაგის ველოსიპედის შეკეთებისათვის.

მედია კითხვებისა და პასუხების ნიმუში

1)რა კულტურული ტრადიციებია წარმოდგენილი და ვის მიერაა ისინი შენარჩუნებული?

2) რა კრეატიულ ხერხებს იყენებს ბატონი მიიაგი ტრადიციების შესანარჩუნებლად?

სავარაუდო პასუხები: ოკინავას გადაჭრილი ბონსაის ხეების ხელოვნება შენარჩუნებულ იქნა ბატონი მიიაგისა და მამამისის მიერ, რომელიც მას ასწავლიდა.

სავარაუდო პასუხები: იმისათვის, რომ აუხსნას დანიელს, „როგორ გააკეთოს ეს“, მამა დანიელს ავარჯიშებს, როგორ გადაჭრას ხე სწორად; მამა იყენებს თვალების დახუჭვის ტექნიკას, რათა დაეხმაროს დანიელს, მოდუნდეს და კონცენტრაცია მოახდინოს ამოცანის შესასრულებლად.

3) რა კრეატიულ ხერხებს მიმართეს კინორეჟისორებმა ამბის გადმოსაცემად? (განიხილეთ ფილმის შექმნის ტექნიკა, სცენარი და საუნდტრეკი).	სავარაუდო პასუხები: კინორეჟისორებმა გამოიყენეს უწყვეტი სიჩუმე, ფლეიტის საუნდტრეკის აკომპანემენტი და მაკრატლის ჭრის ხმა, რათა ბატონი მიიაგის დაფიქრებული და მშვიდობიანი რჩევა გადმოეცათ: „ენდეთ. კონცენტრაცია მოახდინეთ. იფიქრეთ მხოლოდ ხეზე. გაისუფთავეთ გონება. არაფერზე იფიქროთ, ხის გარდა.“

მომდევნო კითხვები:

- როგორ ამშვიდებს ბატონი მიიაგი დანიელს?
- რა კრეატიულ ხერხებს იყენებს ბატონი მიიაგი კულტურული ტრადიციების წარმომავლობის აღსაწერად?
- იცნობთ უფროს ადამიანს, რომელიც იყენებს ხელებს, გონებასა და კონცენტრაციას ტრადიციების შესანარჩუნებლად?

თაობების მემკვიდრეობა

ფილმი 3. შესავალი

ნაწყვეტი „თაობების მემკვიდრეობა: მეთუნეობა“ 1998 წელს გადაღებული PBS დოკუმენტური ფილმიდანაა, რომლის რეჟისორიცაა ამერიკელი ინდოელი ქალი, ლინდა ლევეტი. ნაწყვეტი, რომელსაც თქვენ ნახავთ, ყურადღებას ამახვილებს ტაფოიას ოჯახის ოთხ თაობაზე, რომელიც სანტა კლარას ინდიელების ახალშენში ცხოვრობს.

მედია კითხვებისა და პასუხების ნიმუში

1)რა კულტურული ტრადიციებია წარმოდგენილი და ვის მიერაა ისინი შენარჩუნებული?	**სავარაუდო პასუხები:** ტაფოიას ოჯახის ქალები ინარჩუნებდნენ სანტა კლარას მეთუნეობის ტრადიციას და ტომის სიმბოლოებს.
2) რა კრეატიულ ხერხებს იყენებდნენ ტაფოიას ოჯახის ქალები ტრადიციების შესანარჩუნებლად?	**სავარაუდო პასუხები:** მარგარეტი აღწერს, თუ როგორ ელაპარაკება ლუანი თიხას და „უბრძანებს“ მას. ლუანი ყვება, რომ დედამ ასწავლა, როგორ გამოეყენებინა სიმბოლოები მეთუნეობაში დიზაინის შექმნისას და როგორ გადმოეცა ტომის იდენტობა. ის ეპატიჟება შვილიშვილს, რომ გვერდით მოუჯდეს და თიხა ერთად დაამუშაონ.
3) რა კრეატიულ ხერხებს მიმართეს კინორეჟისორებმა ამბის გადმოსაცემად? (განიხილეთ ფილმის შექმნის ტექნიკა, სცენარი და საუნდტრეკი).	**სავარაუდო პასუხები:** ის ხაზს უსვამს სახლისა და ადგილის მნიშვნელობას; აჩვენებს ტაფოიას მომუშავე ქალების ოთხ თაობას, რომლებიც სახლსა და სახელოსნოში მუშაობენ. ნაჩვენებია მათი ამბები - თუ როგორ სწავლობდნენ უფროსებისგან მუშაობას, როგორ ასწავლიდა წინა თაობა ქოთანზე მუშაობას და რა ინდივიდუალური შთაბეჭდილებები დარჩათ.

მომდევნო კითხვები:

- განიხილეთ წინა თაობების სწავლების მეთოდების და სიმბოლოების კავშირი პიროვნულ კრეატიულობასთან.
- რა კულტურული ტრადიციები გადმოსცეს უფროსებმა თქვენს ოჯახსა და საზოგადოებას? რა საერთო გაქვთ „თაობების მემკვიდრეობასთან“?
- რას გულისხმობს მარგარეტ ტაფოია, როცა კითხულობს: „ჩემი ციური სული დამეხმარება“?

ვეშაპის გამხედნავი

ფილმი 4. შესავალი

ნაწყვეტი „ვეშაპის გამხედნავი“ 2003 წელს გადაღებული მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმიდანაა, რომლის რეჟისორიცაა ნიკი კარო და მთავარ როლებში არიან კეშა კასლ-ჰაგსი (პაიკეას როლში) და რავირი პარატანე (ბაბუა კოროს როლში). ამ სცენაში პაიკეა ეკითხება ბაბუას მათი მაორის მემკვიდრეობაზე და მათ საერთო წინაპარ პაიკეაზე, რომლის სახელიც მას დაარქვეს.

მედია კითხვებისა და პასუხების ნიმუში

1) **რა კულტურული ტრადიციებია წარმოდგენილი და ვის მიერაა ისინი შენარჩუნებული?**	**სავარაუდო პასუხები:** ტრადიციების წარმოშობა, მათი მემკვიდრეობით გადმოცემის ისტორიები და შენარჩუნება ბაბუისა და პაიკეას მიერ.
2) **რა კრეატიული ხერხები გამოიყენა კორომ ტრადიციების შესანარჩუნებლად?**	**სავარაუდო პასუხები:** ის იმპროვიზაციას უკეთებს მეტაფორას - მაორის ხალხის განმარტებისათვის იყენებს თოკს; „პაიკეა თოკის ძაფებს აბამს, რათა მათი ხაზი ძლიერი დარჩეს.“
3) **რა კრეატიულ ხერხებს მიმართეს კინორეჟისორებმა ამბის გადმოსაცემად? (განიხილეთ ფილმის შექმნის ტექნიკა, სცენარი და საუნდტრეკი).**	**სავარაუდო პასუხები:** კინორეჟისორი იყენებს ამ სცენას, რომ აჩვენოს, მიუხედავად თოკის გაწყვეტისა, როგორ გადაეცემა თაობიდან თაობას კულტურული ტრადიციები. სცენარით განმარტავს: „თოთოეული ძაფი თქვენი წინაპარია, ყველა ერთად - ერთიანი და ძლიერია“. პაიკეა, ანუ მომავალი თაობა, იცავს თოკს, რომ იყოს ძლიერი, ძაფებს გადააბამს და რთავს ძრავს.

მომდევნო კითხვები

- რეჟისორი ფილმის გადაღების რა ტექნიკას იყენებს პაიკეას შესაძლებლობის სიმბოლური მნიშვნელობის ხაზგასასმელად, როცა ის (პიაკეა) აბამს ძაფებს და ამუშავებს ძრავს?
- რეჟისორმა რა არჩევანი გააკეთა სცენარის შექმნისას? რომელი ადგილმდებარეობა და რა რეკვიზიტები გამოიყენა იმისთვის, რომ ეჩვენებინა ოკეანე, როგორც მაორის მემკვიდრეობისა და ტრადიციის ცენტრალური ფუნდამენტი?
- ვინ არიან ის უფროსები თქვენს ოჯახში ან საზოგადოებაში, ვინც კულტურული და ოჯახური მემკვიდრეობა გადმოგცათ?

შემაჯამებელი გამოკვლევა

- ✓ ჩაფიქრდით კრეატიულობის იმ გამოვლინებებზე, რომელიც გინახავთ. რომელ კრეატიულ გამოვლინებებს დააკავშირებდით? რატომ?
- ✓ ჩამოაყალიბეთ განსხვავებები დოკუმენტურ და სრულმეტრაჟიან ფილმებს შორის. რომელი ტექნიკაა უფრო ეფექტური: აუდიო თუ ვიზუალური? რატომ?
- ✓ რომელი უფროსი გაგახსენათ ამ ფილმის ნაწყვეტის ნახვამ? თქვენი ნაცნობები არიან თუ - ცნობილი ადამიანები?
- ✓ კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისას კრეატიულობის გამოვლენა როგორ დაგეხმარებათ მომავალში უფროსებთან ურთიერთობისას?
- ✓ განიხილეთ გენდერის როლი კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისას.
- ✓ ფილმის გარდა, რომელი მედიასაშუალებითაა შესაძლებელი კულტურის გადაცემისა და შენარჩუნებისას უფროსი ასაკის ადამიანების კრეატიულობის ილუსტრირება?
- ✓ სხვა რომელი ფილმი გახსენდებათ, რომელიც აჩვენებს კულტურის უწყვეტობისთვის უფროსი ასაკის ადამიანის მიერ გამოყენებულ კრეატიულობას?

კრეატიულობა კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისას

საკითხავი მასალა

უფროსები როგორც კულტურის კრეატიული შემნარჩუნებლები

პაიკეა ძაფებს აბამს თოკის სიძლიერის შესანარჩუნებლად. „თითოეული ძაფი შენი წინაპარია... ყველა ერთადაა და, რაკი გაერთიანებულია, ესე იგი, ძლეირია," - ეუბნება ბაბუა პაიკეას „ვეშაპის გამხედნავში". საერთაშორისო ფილმებში ასაკში შესვლას დამატებითი პოზიტიური მნიშვნელობა აქვს. ხანში შესული ადამიანი საზოგადოებისათვის გადამწყვეტ როლს თამაშობს. მათ აფასებენ, როგორც „უფროსებს". ისინი ამბების, მოგონებების, რიტუალებისა და ტრადიციების მატარებელნი არიან. მათ ძველებური ხერხები იციან. მათ უყვართ მიწა და მიწასთან კავშირს ინარჩუნებენ. მათ ბევრი იბრძოლეს, რომ შეენარჩუნებინათ „საზოგადოების, თემის" არსი, მოქმედებენ როგორც მენტორები და ღირებულებებს მომავალ თაობებს გადასცემენ. - რობერტ იანკი, გმირების პირადი ისტორიები.



კულტურული ტრადიციების შენარჩუნების პროცესი უწყვეტია, როცა უფროსები ახალგაზრდა თაობებს გადასცემენ ტრადიციულ ცოდნას. ეს არის ორმხრივი სარგებელი, სადაც მოგებულია ორივე, ძველი და ახალი თაობაც. კრეატიული, ასაკში შესული, მომწიფებული გონება, დაბერებული ტვინის პოზიტიური ძალა... ჯენ კოჰენი კამათობდა, რომ უფროსების სურვილი, გადასცენ სიბრძნე, მათ უზრდით იმის საჭიროებას, რომ „შეაჯამონ" საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება - მათივე ცხოვრების მესამე ფაზაში. უფროსები აფუძნებენ კრეატიულ პროცესს და ხდებიან „კულტურის დამცველები". მაგალითად, „ვაშინგტონ პოსტის" გამომცემელმა ქეთრინ გრაჰამმა მოიგო პულიცერის პრიზი მისი პირველი წიგნისათვის. ეს არის მემუარი, პირადი ისტორია, რომელიც 79 წლის ასაკში დაწერა. (კოენი/Cohen, 2005წ.)

უფროსი ასაკის ადამიანების ისტორიები ემსახურება იმ განსაკუთრებულ მიზანს, რომ ოჯახის კულტურა და მთლიანობა იქნას შენარჩუნებული. იროკეზების უფროსი თაობის ტრადიცია მოითხოვს, ყურადღება მიექცეს მათ გადაწყვეტილებებს, რადგან ის მეშვიდე თაობაზე გადადის სამომავლოდ. ზეპირსიტყვიერი ისტორია ტრადიციის სახით გადაეცემა თაობებს და ახალ თაობებს ექნებათ ე.წ. „მეშვიდე თაობის ცნობიერება".

2008 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით „კრეატიულობის საკითხები: ხელოვნება და ხანში შესვლა ამერიკაში“, ავტორები გეი ჰანა და სუზან პერლშტაინი წერენ: კრეატიულობა მორალურად ძლიერდება ცხოვრების მომდევნო ეტაპზე, ზრდის ფიზიკურ ჯანმრთელობას და ამდიდრებს ურთიერთობებს. ის წარმოშობს ხალხის უდიდეს მემკვიდრეობას, რომელიც რჩება შვილებს, შვილიშვილებს და მთელ საზოგადოებას. ისტორიულად, უფროსებს აქვთ კულტურის დამცველის ფუნქცია. ისინი მომავალ თაობას ისტორიასა და ღირებულებებს გადასცემენ (Hanna & Perlstein, 2008 წ., გვ. 3).

თაობათაშორისი თანამშრომლობა კულტურული ტრადიციების შესანარჩუნებლად

ხანშიშესული ადამიანები ხშირად პოულობენ კრეატიულ გზებს კულტურული ტრადიციების გადმოსაცემად. საზოგადოებაში სასაუბრო სიტყვები გახდა ლამპარი, რომელიც ნათელს გადასცემს ერთი თაობიდან მეორეს. ადამიანთა არსებობის ისტორიის მანძილზე, კულტურული ტრადიციების გადაცემა რიტუალურ ღონისძიებებზე ხდებოდა, სადაც ოჯახები იკრიბებოდნენ – უსაფრთხოებისა და ერთიანობის გასაძლიერებლად. 21ე საუკუნეში ტრადიციული ისტორიების გადასაცემად და ამბების მოსათხრობად მედიატექნოლოგიები გამოიყენება.

ერთ-ერთი მაგალითია - RadioKids, ჰავაის პროგრამა, რომელიც ახალგზარდებს სთავაზობს, ინტერვიუ ჩამოართვან და ჩაწერონ მოხუცები ტრადიციული „ზეპირი ისტორიების“ გამოყენებით. ამ დროს ხდება სიბრძნისა და კულტურის გადმოცემა. ეს ჩაწერილი ინტერვიუები ხშირად გადის ონლაინ რადიო პროგრამებში და პოდკასტები დაარქივებულია. ეს გადაცემა ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, დაეუფლონ მედიახელოვნებას, მონაწილეობა მიიღონ კულტურის გადაცემის ტრადიციულ პრაქტიკაში.

როგორ დაიცვეს მეთუნეობის ტრადიცია ადგილობრივმა ამერიკელებმა, რას გვეუბნება DVD-ის სათაური?

სტატია დაიბეჭდა ონლაინ ჟურნალში „Edutopia“ 2007 წელს. ავტორი, კეტი კლინგერი აღნიშნავს: „ჰავაური სიბრძნის თაობათაშორისი გადაცემა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გაეცნონ ადგილობრივ ლიდერებს და მომავალ დამცველებს ჰავაის კუნძულზე. უფროსები უზრუნველყოფენ არსებით ინსტრუქციებს, რათა დაიცვან ოკეანე და ბუნებრივი რესურსები. უნდა გვახსოვდეს, თუ დავკარგავთ ოკეანეს, პლანეტასაც დავკარგავთ.

უფრო მეტიც, ეს სიამაყის განცდას შთაუნერგავს ჰავაელ მოსწავლეებს, რომ ალოჰას მოსახლეობამ შეინარჩუნოს საზოგადოების მეხსიერება. ეს უბრალო სიტყვა არ არის; ეს ცხოვრების არსია“ (კლინგერი, 2007წ.).

ფილმი სულ უფრო მეტად ხდება კულტურული სიმდიდრის „გადამზიდი მოწყობილობა“. 2003 წელს რეჟისორი მარტინ სკორსისი იყო „The Blues“-ის აღმასრულებელი პროდიუსერი. 7 სერიანი ფილმის მეშვეობით, მთელი მსოფლიოს ცნობილი რეჟისორების კატალოგებით, გავრცელდა ბლუზის მუსიკა აფრიკიდან ევროპამდე და ჩრდილოეთ ამერიკამდე. 1990 წელს, სკორსისი მონაწილეობდა საუკეთესო კულტურული ფორმის დაცვასა და შექმნაში; მონაწილეობა მიიღო The Film Foundation-ის დაარსებაში (არაკომერციული ორგანიზაცია), რომელიც მიზნად ისახავდა აშშ კინემატოგრაფიული მემკვიდრეობა შეენარჩუნებინა. როგორც The Film Foundation-ის პრეზიდენტმა, სკორსისმა განაცხადა: „ფილმი არის ისტორია. ფილმის დაკარგვით, ვკარგავთ კავშირს კულტურასთან, მსოფლიოსთან, ერთმანეთთან და საკუთარ თავთანაც კი“.

ფონდის მიზნებია: ფილმის სოციალური და კულტურული მნიშვნელობის გაგება; ახალგაზრდების დახმარება, რათა მათ უკეთ გაიგონ და სწორად მოახდინონ ფილმის ენისა და ვიზუალური სურათების ინტერპრეტაცია. Film Foundation-ის მიზნები შეესაბამება პროგრამის კურიკულუმის მიზნებს. ორივე მიმართულია, დაადგინოს უფროსი თაობის ადამიანების კრეატიულობის როლი კინემატოგრაფიულ გამოსახულებაში კულტურის შენარჩუნებისას.

მოსწავლეებისთვის დასარიგებელი მასალა
კრეატიულობა კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისას

სახელი და გვარი _____ თარიღი _____

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული კითხვები ვიდეო რგოლების ნახვამდე. სურვილისამებრ, შეგიძლიათ გააკეთოთ ჩანიშვნები ნაწყვეტების ყურებისას. ვიდეო რგოლების ნახვის შემდეგ, მოგეცემათ დრო კითხვებზე პასუხების გასაცემად.

ფილმის ნაწყვეტის სათაური _____

1. რა კულტურული ტრადიციებია წარმოდგენილი და ვის მიერაა ისინი შენარჩუნებული?

2. რა კრეატიული ხერხები გამოიყენეს უფროსი თაობის ადამიანებმა ტრადიციების შესანარჩუნებლად?

3. რა კრეატიულ ხერხებს მიმართა ფილმის შემოქმედებითმა ჯგუფმა ამბის გადმოსაცემად? (განიხილეთ ფილმის შექმნის ტექნიკა, სცენარი და საუნდტრეკი).